

აჭარულ-შავშური მაცრულები

აჭარა და შავშეთი ისტორიულად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში მდებარე კუთხეებია. აჭარა დღესაც საქართველოს ნაწილია. ამჟამინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მასში ერთიანდება ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონები. თუმცა, ისტორიულად, ქობულეთის მხარე აჭარა არ არის (ვახუშტი, 1941:175,176). იგი მეზობელი კუთხის, გურიის შემადგენელი ნაწილია (სახოკია, 1950:17). რაც შეეხება შავშეთს, ეს კუთხე დღესდღეობით საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარეობს და თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის (სიხარულიძე, 1986:675).

ცნობილი მიზეზების გამო ქართველ ეთნომუსიკოლოგებს საქართველოს ამ ნაწილში საექსპედიციო მუშაობის შესაძლებლობა დღემდე არ ჰქონიათ. ჩვენთვის ცნობილია შავშური ხალხური მუსიკის მხოლოდ მცირე ნაწილი. იგი 1968 წელს ჩაინერა ამერიკელმა ეთნომუსიკოლოგმა პიტერ გოლდმა, მოგვიანებით, 1979 წელს კი — ქართველმა კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ.

შავშური სასიმღერო შემოქმედება აჭარულს იმდენად ემსგავსება, რომ ქართველი ეთნომუსიკოლოგი ედიშერ გარაყანიძე მათ ერთი დიალექტის ორ კილოკავად განიხილავს (გარაყანიძე, 1990:149). შავშეთში პიტერ გოლდის მიერ ჩაწერილი მაცრულიც თავისი ყველა ნიშანთვისებით ამ ჟანრის აჭარულ ნიმუშებს ეკედლება (მაგ. 1).

აჭარულ-შავშური მაცრულების კვლევას საფუძვლად დაედო: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში დაცული, გამოუქვეყნებელი, ჩვენს მიერ ნოტირებული საექსპედიციო ფონოჩანაწერები; გამოუქვეყნებელი აუდიო მასალა და როგორც გამოქვეყნებული, ისე ხელნაწერი სანოტო ნიმუშები (სხვადასხვა სანოტო კრებულიდან და ნაშრომიდან). თავადაც გახლდით მონაწილე ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის 2005 წლის ხელვაჩაურის რაიონის ერთ-ერთი ფოლკლორული ექსპედიციისა (ნატო ზუმბაძის ხელმძღვანელობით), რომელმაც მაცრულები ჩაინერა. მუსიკალური მასალის გარდა, შრომაში გამოყენებულია სპეციალური სამუსიკისმცოდნეო, ეთნოგრაფიული, ისტორიული და ფილოლოგიური ლიტერატურა.

სახელწოდება „მაცრული“ მომდინარეობს სიტყვისგან „მაცარი“, რომელიც არაბული წარმოშობისაა. ძველ ქართულ ენაში მისი შესატყვისი ყოფილა „ძმადი“ (სულხან-საბა, 1993:355). აჭარასა და შავშეთში სიტყვა „ძმადის“ არსებობა არ დასტურდება. როგორც ჩანს, ძველი ქართული სიტყვა თანდათან უცხო ენიდან შემოსულით — „მაცარი“ შეიცვალა.

აჭარასა და შავშეთში მაცრულებს ხშირად „დედოფლის“ ან „დედოფლის სიმღერებსაც“ ეძახიან. მაცრულის სახელწოდებებზე აგრეთვე გვხვდება:

„ორირა“, „ეორირა“, „ორირამა“, „დიდი ეორირამა“, „ორილოი“, „ეორირო-და“. სახელწოდებათა უმრავლესობა მათი სანყისი და ძირითადი გლოსო-ლალიაა. აჭარული ფოლკლორის მკვლევარი ალექსანდრე მსხალაძე მიიჩნევს, რომ მაყრული სიმღერების სახელწოდებები აჭარაში ხეობების მიხედვით განსხვავდება: თუ ერთ ხეობაში მაყრულს „ორირას“ ეძახან, სხვაგან მას „დედოფლის სიმღერა“ ჰქვია და ა.შ. (მსხალაძე, 1969: 64).

აჭარულ და შავშურ ქორნილში მაყრულების შესრულებას თავისი დრო და ადგილი ჰქონდა. როგორც წესი, ამ სიმღერებს მეფისა თუ დედოფლის სახლთან მისული ან ჯერ კიდევ გზად მყოფი მაყრები ამბობდნენ. მაყრუ-ლები სრულდება ორგვარად — დგომისას და სიარულისას. მათი შესრულე-ბა გზასთანაა დაკავშირებული. ამის გამო ეთნოფორები მაყრულს ზოგჯერ მგზავრულადაც იხსენიებენ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მგზავრულებში ხშირად ვხვდებით მაყრულებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ვფიქრობთ, მაყრულებსა და მგზავრუ-ლებს შორის არსებული მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

აჭარულ-შავშური მაყრულების შესწავლის შედეგად დგინდება ამ სიმღერებისათვის საერთო ნიშან-თვისებები. ესენია:

მეტრული მხარე — ყველა მაყრული ოთხნილადაა.

რიტმული სურათი — მაყრულების რიტმში ჭარბობს მერვედი და პუნქტირული გრძლიობები, ასევე — მარშისებური რიტმები. ამავე დროს, მიუხედავად დამოუკიდებელი რიტმული განვითარებისა, ხმები ზოგჯერ (განსაკუთრებით, ორხმიან ვარიანტებში) სინქრონულადაც გადაადგილდება. ასეთი მოძრაობისას ხშირად წარმოიქმნება ინტერვალური, კერძოდ, კვინტური პარალელიზმი.

შესრულების ტემპი — მაყრულები ითქმება ზომიერ, თავშეკავებულ ტემპში.

შესრულების ფორმა — მაყრულების შესრულების ფორმა ტრადიციულად ანტიფონურია. გვხვდება ამ ფორმის აღმნიშვნელი მრავალფეროვანი ტერმინები: „ორპირი“, „გადაბმული“, „გამორთმეული“ „ჩამორთმეული“, „გაკიდებული სიმღერა“, „ორ პარტიად სიმღერა“. იციან „მორიგეობით მე-ლექსეობაც“, როდესაც ერთიან ბანზე ორი ლექსის მთქმელი მონაცვლეობს.

სტრუქტურა — მაყრულები შედგება ვარიანტულად ცვალებადი მუხლებისაგან (ძირითადად 8+1 ტაქტი), რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს შეჭრილი კადანსები.

სანყისი ინტონაცია — ჩვენს ხელთ არსებულ თითქმის ყველა მაყრულს იწყებს ერთი ხმა. იგი ორხმიანობაში ზედა, სამხმიანობაში კი შუა ხმაა. სანყისი ინტონაცია (კილოს კვარტული ბგერიდან) დაღმავალია. ახლავს გლოსოლალია „ორირა“.

ძირითადი ჰანგი — მელოდურად საკმაოდ ჩამოყალიბებულია, ორხმიან ნიმუშებში ზედა, სამხმიანებში კი შუა ხმაშია გადმოცემული; ვითარდება კვინტის ან სექსტის ფარგლებში. ხშირია მინორული მიხრილობა. მელოდია კონტაქტურია (მასში მუხლის ბოლომდე ჩნდება ცენტრალური ტონი ან მის ქვევით მდებარე ბგერები) (ჭოხონელიძე, 1987:68).

ბანი — მაცრულების ბანი მოიცავს კილოს ცენტრალური ტონის ქვევით მდებარე VII, VI, V, IV, ზოგჯერ კი — III საფეხურსაც. ყველა ნიმუშში გვხვდება ბანის სახასიათო მელოდიური საქცევი: VII-VI-V-VII-IV.

ვერბალური ტექსტი — მაცრულებში გლოსოლალიები ქარბობს აზრობრივი დატვირთვის მქონე ლექსებს. ხშირია „ორირა“, „ვორირა“. დღესდღეობით შინაარსსმოკლებული ეს გლოსოლალიები ოდესღაც ამ სიმღერების ერთადერთი სემანტიკური დატვირთვის მქონე ტექსტი უნდა ყოფილიყო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აჭარული და შავშური მაცრულების დამახასიათებელი ის ნიშან-თვისებები, რომლებიც მხოლოდ ფონოჩანაწერებში ისმინება, ნოტირებულ ნიმუშებში კი მხოლოდ ზოგ შემთხვევაშია აღნიშნული. ესენია:

1. სიმღერის ძირითადი ტონიდან ამაღლება (მოდულაციის გარეშე), რაც ხშირად ტონნახევარს აღწევს;
2. კილოში ცვალებდი საფეხურების, უფრო ხშირად, III-ისა და VI-ს არსებობა;
3. სიმღერის დროს ჰანგის ორნამენტებით გალამაზება;
4. ორპირული შესრულება.

ცალკე შევსებით მაცრულების მრავალხმიანობისა და ხმათა სახელწოდების საკითხს. ძირითადი ჰანგის გადმომცემელ ხმას, მთქმელს ძალზე ხშირად „ყივანს“ ან „კივანს“ ეძახიან. ამავე ხმის აღმნიშვნელია „მელექსე“, „დამწყები“ ან „თავი“. ბანს „მოზანეს“, ზოგჯერ „ბასს“ უწოდებენ, მაღალ ხმას კი „წვრილი“, „წრილი“, „მოყივლება“ ან „შეყივლება“ ჰქვია.

აჭარულ-შავშური მაცრულების დიდი ნაწილი ორხმიანია. გვხვდება სამხმიანობაც. ამ ფაქტს აჭარულ-შავშელი ეთნოფორები და მათი ხალხური მუსიკის მკვლევრებიც ადასტურებენ.

ორხმიანი მაცრულები ძირითადად ჩაწერილია ხულოსა და ხელვაჩაურის რაიონებში, ასევე — „თურქეთის საქართველოში“. შუახევსა და ქედაში ფიქსირებული ნიმუშები სამხმიანია. აჭარულ-შავშურ მაცრულებში სახეზეა ამ სიმღერის მრავალხმიანობის ევოლუცია ორხმიანობიდან სამხმიანობამდე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი აჭარული მაცრული, რომელიც ხულოს რაიონშია ჩაწერილი. სიმღერა ბოლო მუხლამდე ორხმიანია, ბოლო მუხლში კი ორხმიანობას კიდევ ერთი, ყველაზე მაღალი ხმა ემატება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მთქმელები სიმღერას ტრადიციულად ორ ხმაზე ამბობდნენ, ბოლო მუხლში კი წარმოაჩინეს შესაძლებლობა ამავე სიმღერის სამ ხმაზე შესრულებისა. ფაქტობრივად, ამ ნიმუშში ხაზგასმულია მაცრულის ორ ხმაზე მღერის ტრადიცია და, ამავე დროს, ნაჩვენებია ორხმიანი სიმღერის გასამხმიანების რეალური გზა (მაგ. 2).

სამხმიან აჭარულ მაცრულებში შეიძლება დავინახოთ მაღალი ხმის „მაღალი ბანის“ პრინციპით წარმოქმნის კვალი. ხშირად მეტრულად ხაზგასმულ ადგილებში, ტაქტის ძლიერ დროზე მაღალი ხმა ბანზე ოქტავით შენდება. არცთუ იშვიათად, მაღალი ხმა კვინტიტაც კოორდინირებს ბანთან. სამხმიან მაცრულებში ხშირია ორხმიანი მონაკვეთებიც, სადაც მაღალი ხმა გამოთიშულია. ეს განსაკუთრებით ქედაში ჩაწერილ მაცრულებს ახასიათებს (მაგ. 3).

აჭარულ-შავშური მაცრულების ისეთი ნიშან-თვისებები, როგორებიცაა: ხმათა რაოდენობა და სახელწოდებები, მეტრი, რიტმი, შესრულების ფორმა, სტრუქტურა, ძირითადი ტონიდან ამალეობა, ცვალებადი საფეხურები, ჰანგის ორნამენტებით გამშვენება და გლოსოლალიები, ამ დიალექტის სხვა ჟანრის სიმღერებშიც გვხვდება. ამდენად, ისინი ვერ ჩაითვლება მაცრულების ტიპურ ნიშან-თვისებებად. მაგრამ მაცრულებში გვხვდება მხოლოდ ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური თავისებურებებიც. ესენია: სანყისი ინტონაცია, ძირითადი ჰანგი და ბანი სახასიათო მელოდიური საქცევით.

აჭარული და შავშური მაცრულების საერთო მუსიკალური კანონზომიერებები და შემსრულებლობის სახასიათო ნიშან-თვისებები ამ სიმღერებს იმდენად ანათესავებს, რომ ისინი ერთი სიმღერის მრავალ ვარიანტად შეიძლება აღვიქვათ.

აჭარულ-შავშური მაცრულების კვლევა ადასტურებს ამ სიმღერების გენეტიკურ სიახლოვეს. მათში გამოვლენილი მუსიკალური და ტექსტობრივი კანონზომიერებები, საკუთრივ, მაცრულის ჟანრისთვისაა სახასიათო. საკითხის შემდგომი კვლევა სხვა ქართულ მუსიკალურ დიალექტებში მეტად პერსპექტიული ჩანს.

დამონმებული ლიტერატურა

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1941). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. თბილისი: თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გარაყანიძე, ედიშერ. (1990). *ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება*. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.

მსხალაძე, ალექსანდრე. (1969). *აჭარის საოჯახო-სანესჩვეულებო პოეზია*. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

ორბელიანი, სულხან-საბა. (1993). *ლექსიკონი ქართული*, II. თბილისი: მერანი.

სახოკია, თედო. (1950). *მოგ ზაურობანი*. თბილისი: სახელგამი.

სიხარულიძე, ი. (1986). შავშეთი. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტ.10. აბაშიძე, ირაკლი (მთ. რედ). (გვ. 675). თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ჭოხონელიძე, თამარ. (1987). *ქართულ ხალხური სიმღერების პოლიფონიის ზოგიერთი ძირითადი თავისებურებების შესახებ*. სადიპლომო ნაშრომი. ხელნაწერი ინახება თბილისის სახ. კონსერვატორიაში.

მაგალითი 1. "დედოფლის სიმღერა"
Example 1. "Dedoplis simghera"

I

გე-ი-რე და გა-მე-ია-რე ხე-მი გუ-ლი გა-ია-ხე-რე შე-ნი ღა - მა-ნი ხე-ლე-ნი
ge-ia-re da ga-me-ia-re che-mi gu-li ga-ia-khe-re she-ni la - ma-ni khe-le-ni

ჰო ჰო ჰო ჰო ჰო ჰო ჰო
ho ho ho ho ho ho ho

ჩემ - სა გულ - სა და - მა - ვა - რე ჰეი ჰეი ჰე ჰე ჰე - ი რე - რო ვო - რე - რა,
chem-sa gul-sa da-ma-va-re hei hei he he he-i re-ro vo-re-ra,

ჰო ო ჰო ჰოი ჰე ჰე ვა ჰა ჰა ჰე ა ვა ჰე
ho o ho hoi he he va ha ha he a va he

ა - ბა ვო-რე-რა ვო - რა - და ო ი ა-ვო რე - რა ო - ვო
a-ba vo-re-ra vo-ra-da o i a-vo re-ra o-vo

ო ვა ჰა ვო ვა ჰა ჰე ო ჰო ჰო
o va ha vo va ha he o ho ho

II

წის - ძვილ პუ - რი და - ვა - ვა - რე, სხ - რე - კე - ლი გოგ - გე - ბო - და
tsis-kvil pu-ri da-va-va-re, sa-re-ke-li gog-de-bo-da

ჰო ჰო ჰო ჰო ჰო ჰო
ho ho ho ho ho ho

იერ-თი ფა-ტი-ა მი-ყვარ-და, არ მე-კოც-ნა მოკ-დე-ბო-და, იერ-თი ფა-ტი-ა მი-ყვარ-და,
ier - ti pa - ti - a mi - qvar - da, ar me - koc - na mok - de - bo - da, ier - ti pa - ti - a mi - qvar - da,

ჰო ჰო ჰე ჰე ვა ჰა ჰა ჰე ა ვა ჰე
ho ho he he va ha ha he a va he

არ მე-კოც-ნა მოკ-დე-ბო-და, ვა ჰა ჰა ვო - რე-რო რე - რა
ar me - koc - na mok - de - bo - da, va ha ha vo - re - ro re - ra

ვა ვა ია ვა ვა ჰა ჰე ე ჰე ჰე
va va ia va va ha he e he he

მაგალითი 2. "მაყრული"
Example 2. "Maqruli"

I

ო ო რი-რო-ვო ო - რი-ვო ო რე - ჰო
o o ri - ro - vo o - ri - vo o re - ho

ს ს რი - რს - ვს ს - რი - ვს ს რე - ხს
s s ri - rs - vs s - ri - vs s re - hs

ა ი ს ო ს - რე - რა ო - რე - რა
a i s o s - re - ra o - re - ra

ე ი ე და ა - ბა - რე - რა ჰე ო რე რო
e i e da a - ba - re - ra he o re ro

რა - ნი - ნა ო ო - რე - რა ო - რე - რა
ra - ni - na o o - re - ra o - re - ra

რს - რს - რს ს ს - რს - რს ს - რს - რს
rs - rs - rs s s - rs - rs s - rs - rs

ღუ-ღუ ვუ-ღუ-ღუ ვუ-ღუ-ღუ ო - ღუ-ღუ რა - ნი-ნი ო ო - რე-რა ო - რე-რა
de - li va - da - li vo - di - la o - de - lo ra - ni - na o o - re - ro o - re - ra

და და ჰო. ჰო.

ო ი ო ჰო ო რი ვო ჰო ვო ო რი რო
o i a ho o ri vo ho vo o ri ro

ქა-ლი მოგვ-ყავს ნა-თე-ლი-ო ჰე ო - რე-რა და გაგ-ვი-ნა-თეს სან-თე-ლი-ო
ka - li mogv - qavs na - te - li - o he o - re - ri da gag - vi - na - tet san - te - li - o

ო ი ო - რე-რა რა - ნი-ნი ო ო - რე-რა ო - რე-რა და ჰო.
o i o - re - ra ra - ni - na o o - re - ra o - re - ra da ho.
ო - რი ო - რე-რა ნა - ნა ო ო - რე-რა ო ი ო ჰო.
o - ri o - re - ra na - na o o - re - ra o i o ho.

მაგალითი 3. “ორირა”
Example 3. “Orira”

I

გა - ვი - არ გა - მო - ვი - ა - რე, ჩე - მი გუ - ლი გა - ვა - ხა - რე -
o ga - vi - ar ga - mo - vi - a - re, che - mi gu - li ga - va - kha - re -

ო .ო - - - - ა .ო .ო - ი - და,
o ho - - - - a ho ho - i - da,

ჩემ - თან ჩე - მი გუ - ლი გა - ა - ხა - რე, ვო - რე - რო რა - ნი - ნა შა,
chem - tan che - mi gu - li ga - a - kha - re, vo - o - re - ro ra - ni - na ha,

ჰო ჰე ჰე - ი ვა - ხა - ხა ჰე - ა ვა - ხა - ხა
ho he he - i va - ha - ha he - a va - ha - ha

ო - რ - ი - ა - ა - ლა - ლო, ა - ხა რე - რო რე - რო, მო - რი - რო ვო - რე - რო -
o - r - i - a - a - la - lo, a - ha re - ro re - ro, ho - ri - ro vo - re - ro, -

ვო ჰე .ო - .ო - ჰე -
vo he ho - o - ho - ho

II

გა - ვი - ვა - ნე
ga - vi - qva - ne

ო ჰე ჰე - ა ჰე ჰე ჰე - ა
o he he - a he he he - a

ვო - ი დე-ლა ვო-ი დე-ლა, ვო-ი-ო, ვო-ი-ო, ვო-ი-ო, დე-ლო,
 vo - i de-la vo-i de-la, vo-i-o, vo-i-o, vo-i-o, de-lo,
 დე-ლა დე-ლა ვო-ი დე-ლა ჰე ჰე ჰე-ა ვო-ო-ბე-ა ჰო, - - - -
 de-la de-la vo-i de-la he he he-a vo-o-be-a ho, - - - -
 ჰე ჰე ჰე ჰე ჰე ჰე - ა ა-ბა ჰე ჰე - ა - ვა - ჰე
 he he he he he he - a a-ba he he - a - va - he

ვო - ი ვოი ვო - რი ვო - რი ვოი, ვო - რი - რა ვო - რე - რო ჰო.
 vo - i voi vo - ri vo - ri voi, vo - ri - ra vo - re - ro ho.
 ვო - ი ვო - რე - რო ა - ბა - რე - რა რე - რო, ვო - რი - რა ვო - რე - რო ჰო.
 vo - i vo - re - ro a - ba - re - ra re - ro, vo - ri - ra vo - re - ro ho.
 ჰო ჰე ჰო - ი ო - ბო - ჰო ჰო.
 ho he ho - i o - bo - ho ho.